

სტრესის დაძლევის სტრატეგიების, აკადემიური
მოსწრების, იდენტობის და კრიზისების
კორელაციური კავშირი ქართველ სტუდენტებში

მარიკა ლაზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ბედნიერება, წარმატება, ცხოვრებით კმაყოფილება, სიმწელებთან გამკლავების სტრატეგიები–ეს ის ცნებებია, რომელიც ადამიანის არსებობის ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებს წარმოადგენს. საინტერესოა, ადრეული ზრდასრულობის ეტაპზე (სტუდენტურ ასკში), როგორ კავშირშია ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ერთმანეთთან.

ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, მსგავსი ტიპის კვლევა არ მოიძებნა, წარმოგიდგენთ ნაშრომს, რომელშიც განხილულია კორელაციური კავშირი აკადემიურ მოსწრებას, კრიზისებს, იდენტობასა და სტრესის დამლევს სტრატეგიებს შორის, საქართველოში მცხოვრები სტუდენტების მაგალითზე.

წინამდებარე რაოდენობრივმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 159 სტუდენტზე, გამოავლინა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები მოცემულ ცვლადებს შორის.

მიღებული შედეგები ინფორმატიულია სტუდენტების ქცევის მიზეზების გამოვლენის თვალსაზრისით. შედეგები გვამლევს ინტერვენციის დაგეგმვის შესაძლებლობას მათი უკეთესი იდენტობის და სტრესთან რაციონალური გამკლავებისათვის საჭირო უნარების განვითარებისთვის. ამ ყველაფერს, კი ჯანსაღ პიროვნებად მივყავართ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დამლევა, იდენტობა, პიროვნული ზრდა, აკადემიური მოსწრება, კრიზისები, სტრეს